ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3377249

ნომერი: AR1518303

თარიღი : 28.06.2017

გაცემის თარიღი : 05.07.2017

გაცნობის თარიღი : 06.07.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , წინამძღვრიშვილი , N 135 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა წაქაძე პ/ნ 01024023438
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 16 ბ. 125

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1 . საკადასტრო გეგმაზე დაიტანეთ ფუნციურ ზონებს შორის საზღვარი, მანძილების მითითებით.

2 . თქვენს მიერ ამჟამად წარმოდგენილი შენობა/ნაგებობების განთავსება ხდება +7.00 II სართულის დონეზე, შესაბამისად საჭრიოა დოკუმენტაცია მოიყვანოთ მოთხოვნის ტექსტთან შესაბამისობაში.

3 . მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში დამატებით განმარტეთ ინფორმაცია როგორ მოხდება საპროექტო შენობა-ნაგებობების განთავსება არსებულ საკომუნიკაციო მილებთან მიმართებაში.

4 . ესკიზურ გეგმაზე დაიტანეთ არსებული შენობიდან საპროექტო შენობებამდე დაშორების მანძილი და გეგმებზე კარის ღიობები შესაბამისი აღნიშვნით.

5. ვინაიდან საპროექტო არეალზე ვრცელდება ჯიხურების შეზღუდვა (6 კვმ-დე) , სამსახური ჯიხურების მოწყობაზე ნებართვას ვერ გასცემს, შესაბამისად მოთხოვნის ტექსტში ასევე განმარტეთ ინფორმაცია საპროექტო შენობა/ნაგებობის ფუნქციასთან დაკავშირებით.

6 . იმ შემთხვევაში თუ საპროექტო შენობა/ნაგებობები უშუალოდ ებჯინება არსებულ შენობა ნაგებობას აღნიშნული ვერ განიხილება I კლასად.

7. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება სარგებლობა, იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების განხორციელება ეხება სარგებლობით გადაცემულ ფართს, საჭიროა წარმოადგინოთ მოიჯარის, შპს „ულევი“-ს , სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა, ხოლო თუ არ ეხება აღნიშნული განმარტეთ მოთხოვნის ტექსტში.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.